

საადრიცხოვოპოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

2020წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გლენბერი“-ს - ფინანსური დირექტორი: შარონ მიზრაჰი, აღმასრულებელი დირექტორი: რაფიელ მაღალაშვილი, ს/ნ 405224662, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქ.კორპუსი #8, ბინა 59.

შპს „გლენბერის“-ის წარმოადგენს 2017 წელს დაარსებულ კომპანიას, თუმცა საქმიანობა დაიწყო 2018 წელს. შპს-ს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება-გაყინვა და გაყინული სახით რეალიზაცია მათ შორის ექსპორტი. ამისათვის კომპანიამ საკუთარი თანხებით და ასევე სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსებით (საქართველოს მთავრობის 2014წლის 27 იანვრის #139 განკარგულებით დამტკიცებული „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ კომპონენტი - სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება)ქარელის რ-ნ სოფ. ქვენატკოცაში ააშენა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პროდუქციის გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმო. ჩვენი კომპანიის მიერ ხდება ხილისა და ბოსტნეულის შემენა როგორც ადგილობრივი ფერმერებისგან, ასევე ნედლეულის იმპორტი, გადამამუშავება-გაყინვა, შეფუთვა, შენახვა და რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე ექსპორტი.

საქმიანობის მცირე პერიოდში კომპანიამ შეძლო აისო 22000 სტანდარტის დანერგვა წარმოებაში და აგრძელებს საკუთარი ძალებით წარმოების გაფართოვებას და ასევე მაღალი ხარისხის საწარმოო პროცესის შექმნას. კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების 95 % წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც როგორც სეზონურად ასევე მთელი წლის განმავლობაში არიან საწარმოში დასაქმებულნი.

კომპანია იმყოფება განვითარებისა და ზრდის ეტაპზე. ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს ქართული ხილისა და ბოსტნეულის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე, ასევე

საქართველოსთვის ინოვაციური პროდუქციის შეთავაზება და რაც ყველაზე მთავარია რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობა და თანამშრომლებისათვის ღირსეული სამუშაო გარემოს შეთავაზება. მუდმივად გვაქვს შეხვედრები, კონსულტაციები ჩვენს დარგში მოქმედ კომპანიებთან, პარტნიორებთან რათა მეტი ცოდნა და გამოცდილება შევიძინოთ რაც დაგვეხმარება ჩვენი მიზნების რეალიზებაში. ჩვენი საქმიანობით ასევე გვსურს შევქმნათ მაგალითი თუ როგორ შეიძლება აგროსფეროში მოქმედ ფერმერებს ხელი შევუწყოთ პროდუქციის რეალიზებაში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

- მონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. მონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისარები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.
- სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.
- მოგების გადასახდის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადებისა და გადავადებული გადასახადების ჯამი.
- მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ

ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია რომ მომავალში გაზრდის საგადასახდო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებულ საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახდო მოგების საფუძველზე.

- გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.
- გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახად ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.
- ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად

- არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო - მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო -მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

- იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.
- რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

- სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში..
- ბანკის სესხის საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ამონაგები

	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
საქონლის რეალიზაციით	6 013 885	1 961 912	736 210

4. ფინანსური დანახარჯები

	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
ბანკის სესხის პროცენტი	115 227	122 695	124 310
ფინანსური იჯარის პროცენტი			

5. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად (შემოსავლად) დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
ხარჯად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური			
ფასეულობების თვითღირებულება	2 039 912	1 033 283	522 293

სავაჭრო ვალდებულებებზე საკუროს სხვაობის
შედგებად მიღებული შემოსავალი
ზარალი
(რომელიც ჩართულია შემოსავალში და ხარჯებში)

5029

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
სავაჭრო დებიტორები	3 240 971	1 013 863	136 850
წინასწარი გადახდები	139 138	12 007	77 946

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
ნედლეული და მასალები	1 039 978	1 206 588	1 420 515
დაუმთავრებელი წარმოება			
მზაპროდუქცია			

8. ძირითადი საშუალებები

	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
მიწა და შენობა-ნაგებობები	1 281 209	1 547 488	1 530 582
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	1 741 170	1 845 663	1 713 762

9. სავაჭრო ვალდებულებები

	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
მოკლევადიანი ვალდებულება	3 220 496	430 250	437 751
მიმდინარე სასესხო ვალდებულება			

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

3 376 084 6 419 637 3 579 875

10. კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრისთვის კაპიტალის ნაშთი შეადგენს 945 810 ლარს, რომელიც შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან.

11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2021 წელი 2020 წელი 2019 წელი

ფულადი სახსრები საღაროში -

ფულადი სახსრები ბანკში

99 924

11 204

133 915

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 30 მარტს.

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	99,924	11,204	133,915
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,240,971	1,013,863	136,850
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	139,138	12,007	77,946
მარაგები	1,039,978	1,206,588	1,420,515
მზა პროდუქცია			0
სხვა			
საინვესტიციო ქონება			0
სხვა მოკლევადიანი აქტივები			0
ბიოლოგიური აქტივები			0
თვითღირებულების მოდელით			0
გადაფასების მოდელით			0
გუდვილი			0
სხვა არამატერიალური აქტივები			0
ძირითადი საშუალებები	3,022,379	3,189,365	3,316,932
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			0
სხვა გრძელვადიანი აქტივები			0
სულ აქტივები	7,542,390	5,433,027	5,086,158
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	3,220,496	430,250	0
სავაჭრო ვალდებულებები			437,751
ანარიცხები			0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			0
საგადასახადო ვალდებულებები			0
გამოუმუშავებელი შემოსავალი			0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,376,084	6,419,637	3,579,875
მიღებული გრანტები			0
სხვა ვალდებულებები			0
სულ ვალდებულებები	6,596,580	6,849,887	4,017,626
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი შპს -ში	400	400	1,068,532
საემისიო შემოსავალი			0
გამოსყიდული საკუთარი აქციები			0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	945,410	-1,417,260	0
გადაფასების რეზერვი			0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			0
სულ საკუთარი კაპიტალი	945,810	-1,416,860	1,068,532
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7,542,390	5,433,027	5,086,158
სულ მოკლევადიანი აქტივები	4,520,011	2,243,662	1,769,226
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3,220,496	430,250	437,751

საქმიანობის შედეგები			
საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	6,013,885	1,961,912	736,210
საქონლის გაყიდვიდან	6,013,885	1,961,912	736,210
მომსახურების გაწევიდან			0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			0
სხვა	9,321		0
გაყიდვების თვითღირებულება	-2,039,912	-1,033,283	-522,293
საწყისი მარაგები		0	-780,216
მარაგების შესყიდვა		0	-1,162,592
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	1,420,515
საერთო მოგება	3,983,294	928,629	213,917
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-371,671	-539,844	-204,213
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-166,986	-166,986	-166,131
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	-115,227	-122,695	-124,310
იჯარის ხარჯი	-250,206	-8,219	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-726,048	-317,824	-466,063
სულ საოპერაციო ხარჯები	-1,630,138	-1,155,568	-960,717
საოპერაციო მოგება	2,353,156	-226,939	-746,800
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			6,887
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან			-5,029
მიღებული დივიდენდები			0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან			-744,942
მოგების გადასახადის ხარჯი			0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2,353,156	-226,939	-744,942
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენი			0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2,353,156	-226,939	-744,942
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-1,416,860	1,068,532	2,101,946
ახალი აქციების გამოშვება (მშს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის			0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-1,068,532	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-1,190,321	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	9,514	400	-288,472
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	945,810	-1,416,860	1,068,532